

ჰერბალიზმის განვითარების ისტორია: შამანიზმიდან მეცნიერულ მედიცინამდე

დიმიტრი კოჩაძე¹, ელგუჯა ლაჭყევიანი², რობერტ მახარაშვილი³, ნანა მგალობლიშვილი⁴, დიმიტრი კუჭუხიძე⁵, ბაღდუ ჩხაიძე⁶, ნიკოლოზ შავერდაშვილი⁷, ნინო ასანიძე⁸

¹შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულების კლინიკური მენეჯერი, ექიმი ინფექციონისტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის PhD სტუდენტი. <https://orcid.org/0009-0009-9976-4724>; ²სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის PhD სტუდენტი. <https://orcid.org/0000-0002-6639-7595>; ³პედიატრიული კლინიკა Mმედი22, ანესთეზია-რეანიმაციის და ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტის ექიმი ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი; ⁴დიპლომირებული მედიკოსი; ბიზნეს ადმინისტრირება მაგისტრი ჯანდაცვის მენეჯმენტში, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის მოადგილე, კლინიკური დირექტორი; ⁵პედიატრიული კლინიკა Mმედი22, ანესთეზია-რეანიმაციის და ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ექიმი ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი; ⁶შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის მოადგილე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის PhD სტუდენტი; ⁷შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის PhD სტუდენტი; ⁸კლინიკური ფარმაციის მაგისტრი; ოკუპირებული ტერიტორიების დევნილათა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო, წამლის რეგისტრაციის, კლინიკური კვლევებისა და ფარმაცევტული დაწესებულებების ნებართვების სამმართველოს ფარმაკოლოგიის ექსპერტი

ანოტაცია

მოცემული სამეცნიერო სტატია წარმოადგენს ჰერბალიზმის (მცენარეების გამოყენება სამკურნალოდ) ევოლუციის ისტორიულ ანალიზს, რომელიც ეფუძნება თემატურ ისტორიულ და ხარისხობრივ აღწერით მეთოდოლოგიას. კვლევის ძირითადი მიზანია გამოკვეთოს ჰერბალიზმის ტრანსფორმაციის ქრონოლოგიური რკალი, დაწყებული მისი არარაციონალური, შამანისტური ფესვებიდან და დასრულებული თანამედროვე, მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული (ფიტოთერაპიული) მიდგომებით.

ანალიზი სტრუქტურირებულია ოთხ ძირითად ევოლუციურ ფაზად. პირველი ფაზა განიხილავს ჰერბალიზმის მისტიკურ ფესვებს, სადაც პრაქტიკა მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული მაგიასთან, მითოლოგიასთან და რელიგიურ რწმენებთან. ადრეულ

საზოგადოებებში ავადმყოფობა ბოროტი სულების შეპყრობად მიიჩნეოდა. შამანები (მკურნალები) იყენებდნენ ჰალუცინოგენურ მცენარეებს, როგორიცაა აიაჰუასკა, რათა "სულების სამყაროში შესულიყვნენ" და განეკურნათ. ამ ფაზის ადრეული მტკიცებულებაა ერაყის 60,000 წლის წინანდელ სამარხში აღმოჩენილი ეფედრა (*Ephedra sinica*).

მეორე ფაზა, კლასიკური რაციონალიზმი და ტრადიციული სისტემები, იწყება დაახლოებით ძვ. წ. 500 წლიდან, როდესაც მედიცინა თანდათანობით განეშორა მაგიურ საწყისებს. ბერძნული რაციონალიზმის ფუძემდებელი ჰიპოკრატე ავადმყოფობას ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევდა. გალენმა განავითარა ოთხი ჰუმორის თეორია. ამავე პერიოდში დიოსკორიდესმა დაწერა პირველი ევროპული ჰერბალი, „*De Materia Medica*“, რომელიც 1700 წლამდე გამოიყენებოდა. პარალელურად, ინდოეთსა და ჩინეთში ჩამოყალიბდა რთული სამედიცინო სისტემები: აიურვედა (ტრიდოშების ბალანსი) და ტრადიციული ჩინური მედიცინა (ინი, იანი და ხუთი ელემენტი).

მესამე ფაზა, იზოლაციის ეპოქა, აღინიშნება ბიომედიცინის აღზევებით მე-19 საუკუნეში. ქიმიკოსებმა დაიწყეს მცენარეებიდან ძლიერი აქტიური ნივთიერებების იზოლირება, როგორიცაა მორფინი ოპიუმის ყაყაჩოდან (1803 წ.) და სალიცილის მჟავა თეთრი ტირიფის ქერქიდან (1838 წ.). ამან საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ფარმაცოლოგიას, მაგრამ ამავდროულად განაპირობა ჰერბალიზმის, როგორც მოძველებული პრაქტიკის, დასავლური მეინსტრიმიდან განდევნა.

მეოთხე ფაზა, ინტეგრაცია და სინერგია, აღწერს ჰერბალიზმის გლობალურ აღორძინებას 1960-იანი წლებიდან, რაც გამოწვეული იყო კონვენციური მედიცინის გვერდითი ეფექტების მიმართ კრიტიკით. თანამედროვე მეცნიერულმა კვლევებმა დაადასტურა ტრადიციული ცოდნის ვალიდურობა (მაგ., არტემიზინინის ანტიმალარიული მოქმედება). კვლევები ხაზს უსვამს „სინერგიის“ ცნებას, რაც გულისხმობს, რომ მთლიანი მცენარის ექსტრაქტში არსებული ქიმიური კომპონენტები სინერგიულად მოქმედებენ და ხშირად უფრო ეფექტურ და ნაკლებად ტოქსიკურ თერაპიულ შედეგს იძლევიან, ვიდრე იზოლირებული აქტიური ნივთიერება (მაგ., კრაზანა *Hypericum perforatum*)).

სტატიით შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ჰერბალიზმი მომავალი ინტეგრაციული დახმარების მოდელს ეფუძნება, სადაც ტრადიციული სიბრძნე და მეცნიერული მტკიცებულებები ერთმანეთს ერწყმის, რაც უზრუნველყოფს მცენარეული საშუალებების უსაფრთხოებასა და ეკოლოგიურ მდგრადობას.

საკვანძო სიტყვები: ჰერბალიზმი, ფიტოთერაპია, ტრადიციული მედიცინა, ბიომედიცინა.

შესავალი

ჰერბალიზმი, ანუ სამკურნალო მცენარეების გამოყენება ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და სამკურნალოდ, კაცობრიობის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. დღეს მედიკამენტების დაახლოებით 75% - ზე მეტი დამზადებულია მცენარეული ნედლეულისგან. საუკუნეების განმავლობაში, მსოფლიოს სხვადასხვა საზოგადოებამ შექმნა უნიკალური ტრადიციები სამკურნალო მცენარეების, მათი სამკურნალო თვისებებისა და გამოყენების შესახებ.

ისტორიის მანძილზე, ჰერბალიზმის აღქმა მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდიდა, დაწყებული შამანისტური და მაგიური პრაქტიკებიდან, დამთავრებული თანამედროვე მეცნიერული მეთოდებით. უძველეს დროში, სამკურნალო მცენარეებს, როგორცაა სელი (*Linum usitatissimum*), იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ სიცოცხლისთვის, ისინი უზრუნველყოფდნენ საკვებს, საწვავს, კოსმეტიკურ საშუალებებს და მკურნალობას, რომ გასაკვირი არ არის, მრავალ კულტურას სჯეროდა მათი მაგიური, ისევე როგორც სამედიცინო, ძალის. 60,000 წლის წინანდელ სამარხში ერაყში აღმოაჩინეს, რვა სხვადასხვა სამკურნალო მცენარე, მათ შორის ეფედრა (*Ephedra sinica*), რაც მიუთითებს მათ ზებუნებრივ, ასევე სამკურნალო მნიშვნელობაზე. შამანისტურ საზოგადოებებში, ავადმყოფობა ხშირად "ბოროტი სულებით შეპრყობის" გამო ითვლებოდა და მკურნალი (შამანი) იყენებდა ჰალუცინოგენურ მცენარეებს, როგორცაა აიაჰუასკა (*Banisteriopsis caapi*), რათა "სულების სამყაროში შესულიყო" და განეკურნა. ამასთან, შამანები ეყრდნობოდნენ მცენარეების შესახებ დაკვირვების შედეგად დაგროვილ ზეპისიტყვიერ ცოდნას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

დროთა განმავლობაში, ცივილიზაციების განვითარებასთან ერთად, სამკურნალო მცენარეების გამოყენება უფრო დაიხვეწა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3000 წლიდან, ეგვიპტეში, შუა აღმოსავლეთში, ინდოეთსა და ჩინეთში გაჩნდა ჰერბალიზმის პირველი წერილობითი ჩანაწერები. ეგვიპტური ებერსის პაპირუსი (დაახლ. ძვ. წ. 1500 წ.), მაგალითად, ასახელებს ასობით სამკურნალო მცენარეს, მათ შორის მურს (*Commiphora molmol*) და ნიორს (*Allium sativum*). ინდოეთში, ვედას (დაახლ. ძვ. წ. 1500 წ.) ეპიკური პოემები მდიდარ მასალას შეიცავს სამკურნალო მცენარეების შესახებ, რასაც მოჰყვა ჩარაკა სამპიტა (დაახლ. ძვ. წ. 400 წ.), რომელიც 350-ზე მეტ მცენარეულ წამალს აღწერს. ევროპაში, ძველმა ბერძენმა ექიმმა, დიოსკორიდესმა (დაახლ. ახ. წ. 40-90 წწ.) დაწერა პირველი ევროპული "ჰერბალი", "*De Materia Medica*", რომელიც 600-მდე მცენარეს მოიცავდა და დიდი გავლენა იქონია დასავლურ მედიცინაზე ახ. წ. მე-17 საუკუნემდე. ეს უძველესი ტექსტები ცხადყოფს, რომ მედიცინამ თანდათან დაიწყო მაგიური და სულიერი "ფესვებისგან" გამოყოფა, რამაც საფუძველი ჩაუყარა რაციონალურ სამედიცინო პრაქტიკას.

შუა საუკუნეებში, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სწავლულობა დაეცა, ხალხური მედიცინის ტრადიციები, რომელიც ადგილობრივ მცენარეულ ცოდნას

ეფუძნებოდა, სოფლის თემებში აგრძელებდა არსებობას. პარალელურად, ისლამური კულტურის აყვავებამ (ახ. წ. 500-1300 წწ.) გადაარჩინა და განავითარა კლასიკური ბერძნული და რომაული ცოდნა, არაბი ექიმები კი, როგორებიც ავიცენა (980-1037 წწ.) იყო, ექსპერტები იყვნენ მცენარეების შერევასა და შეზავებაში. ამ პერიოდში, ვაჭრობის გაფართოებამ ახალი ეგზოტიკური მცენარეები შეიტანა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, რაც გავლენას ახდენდა სამკურნალო პრაქტიკებზე. კოლუმბის ამერიკაში ჩასვლის შემდეგ, ახალი სამყაროს მცენარეები, მაგალითად ქინაქინის (*Cinchona* spp.) ქერქი, ევროპაში შევიდა და მედიცინაში გამორჩეული ადგილი დაიკავა.

მე-19 საუკუნეში ჰერბალიზმის მეცნიერული შესწავლა დაიწყო. ქიმიკოსებმა მცენარეებიდან აქტიური ნივთიერებების იზოლირება დაიწყეს, რამაც მრავალი ძლიერი ფარმაცევტული წამლის აღმოჩენას შეუწყო ხელი. მაგალითად, მორფინი ოპიუმის ყაყაჩოდან (*Papaver somniferum*) გამოიყო 1803 წელს, ხოლო სალიცილის მჟავა, ასპირინის წინამორბედი, თეთრი ტირიფის (*Salix alba*) ქერქიდან 1838 წელს. ამან საფუძველი ჩაუყარა მედიცინის ორ, განსხვავებულ გზად გაყოფას: ერთის მხრივ, ტრადიციულ, ჰოლისტურ ჰერბალიზმს და, მეორე მხრივ, თანამედროვე, ქიმიურ მედიცინას, რომელიც აქტიურ ნივთიერებებს გამოჰყოფას ახდენდა.

მიუხედავად მეცნიერული მედიცინის აღმასვლისა, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ჰერბალიზმმა რენესანსი განიცადა. მეცნიერულმა მიღწევებმა, როგორიცაა ანტიბიოტიკები, ბრწყინვალე წარმატება მოიტანა, მაგრამ ასევე გამოვლინდა ქიმიური წამლების გვერდითი ეფექტების რისკი. თანამედროვე კვლევები, მაგალითად, კრაზანას (*Hypericum perforatum*) ეფექტურობის შესწავლა დეპრესიის სამკურნალოდ, სულ უფრო ხშირად ადასტურებს მცენარეული საშუალებების ტრადიციულ გამოყენებას და მთლიანი მცენარის (whole plant) გამოყენების უპირატესობას, სადაც სხვადასხვა ნივთიერება სინერგიულად მოქმედებს.

მეთოდოლოგია

კვლევის მიდგომა და დიზაინი

მოცემული სამეცნიერო სტატია, "ჰერბალიზმის განვითარების ისტორია: შამანიზმიდან მეცნიერულ მედიცინამდე," ეყრდნობა თემატურ ისტორიულ ანალიზს და ხარისხობრივ აღწერით მეთოდოლოგიას. კვლევის ძირითადი მიზანია ჰერბალიზმის, როგორც სამკურნალო პრაქტიკის, ევოლუციის ქრონოლოგიური და თემატური რკალის გამოკვეთა, დაწყებული მისი არარაციონალური (შამანიზმური) ფორმებიდან და დამთავრებული თანამედროვე, მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული (ფიტოთერაპიული) მიდგომებით.

კვლევის დიზაინი წარმოადგენს შინაარსის ანალიზს და კომპარატიულ მეთოდს. ძირითადი პირველადი წყაროა "Encyclopedia of Herbal Medicine", რომელიც გამოყენებული იქნება ჰერბალიზმის ისტორიული ფაზების, გეოგრაფიული ტრადიციების, ძირითადი მოქმედი ნივთიერებების და სამედიცინო მოხმარების აღსაწერად.

კვლევის მიზანი და სტრუქტურა

ეს სტატია მიზნად ისახავს ჰერბალიზმის განვითარების ისტორიული რკალის შესწავლას: როგორ გარდაიქმნა სამკურნალო მცენარეების მაგიური აღქმა რაციონალურ სამედიცინო პრაქტიკად; როგორ მოახდინა გავლენა ცალკეული ცივილიზაციების (როგორცაა ინდოეთი და ჩინეთი) ტრადიციულმა ცოდნამ გლობალურ მედიცინაზე და რა ადგილი უჭირავს დღეს ჰერბალიზმს, როგორც უსაფრთხო, ეფექტურ და ეკოლოგიურ სამკურნალო საშუალებას, რომელიც თანამედროვე მეცნიერულ კვლევებს ეფუძნება.

კვლევა ისახავს ამოცანად, გამოკვეთოს, თუ როგორ იცვლებოდა და ვითარდებოდა მცენარეების გამოყენების მეთოდოლოგია, სამკურნალო ფილოსოფია და კულტურული აღქმა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში და გეოგრაფიულ არეალში, საბოლოოდ კი დაადასტუროს ტრადიციული სიბრძნისა და თანამედროვე მეცნიერების სინერგიული ღირებულება.

კვლევის ამოცანები

- შამანიზმის, მითოლოგიისა და რელიგიური რწმენების (მაგ., მცენარის სულების, დრუიდების რიტუალების, ინდუიზმის წმინდა მცენარეების) გავლენის დადგენა სამკურნალო პრაქტიკის ფორმირებაზე.
- მედიცინის მაგიისგან განცალკევების პროცესის ანალიზი კლასიკურ სისტემებში (მაგ., ჰიპოკრატესა და გალენის ჰუმორების თეორია, აიურვედას ენერგეტიკული ბალანსის კონცეფციები).
- აქტიური ნივთიერებების იზოლაციის (მაგ., მორფინი, დიგოქსინი) და სინთეზური წამლების შექმნის ეპოქის შესწავლა, რაც ჰერბალიზმის დასავლური მეინსტრიმიდან განდევნას მოჰყვა.
- უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ჰერბალიზმისადმი ინტერესის ზრდის (მაგ., კლინიკური კვლევები, გვერდითი ეფექტების შიში) მიზეზების დადგენა.
- ტრადიციული და სამეცნიერო ცოდნის ინტეგრაციის მოდელების განხილვა (მაგ., სინერგიული ეფექტი, ფიტოთერაპია), რაც უზრუნველყოფს მცენარეული მედიკამენტების უსაფრთხოებას, ეფექტურობასა და ეკოლოგიურ მდგრადობას.

კვლევის სტრუქტურა

სტატია დაიყოფა ოთხ ძირითად თემატურ ნაწილად, რაც ასახავს ჰერბალიზმის ისტორიულ ევოლუციას:

მოცემული ანალიზი ქრონოლოგიურად აგებულ სტრუქტურას მისდევს, რათა სრულად წარმოაჩინოს ჰერბალიზმის ევოლუცია მისტიკური შამანიზმიდან თანამედროვე მეცნიერულ პრაქტიკამდე.

I. შამანიზმი: ჰერბალიზმის მისტიკური ფესვები

ჰერბალიზმის ისტორია ათობით ათასი წლის წინ დაიწყო, სადაც სამკურნალო პრაქტიკა მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული მაგიასთან, მითოლოგიასა და რელიგიურ რწმენებთან. ადრეულ საზოგადოებებში მცენარეებს არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ მაგიური და რიტუალურ ძალასაც მიაწერდნენ.

- ბევრ ტრადიციულ საზოგადოებაში ავადმყოფობა ბოროტი ძალების ან სულების შეპყრობის შედეგად მიიჩნეოდა.
- შამანი (მკურნალი მამაკაცი ან ქალი) იყო მთავარი ფიგურა, რომლის მოვალეობაც იყო სულიერ სამყაროსთან შუამავლობა პაციენტის განკურნებისთვის. შამანები ხშირად იყენებდნენ ჰალუცინოგენურ მცენარეებს (მაგ., აივასკას ამაზონის შამანები, ან საძილე ყაყაჩო), რათა შესულიყვნენ სულიერ განზომილებაში და განეკურნათ.
- ზოგიერთ კულტურაში მცენარეებს სულიც კი ჰქონდათ. მაგალითად, ინდუიზმში ბაელის ხე (*Aegle marmelos*) შივასთან ასოცირდება.
- ადრეული მტკიცებულებები: 60,000 წლის წინანდელ სამარხში (ერაყში) აღმოჩენილი ნაშთები ადასტურებს, რომ ეფედრა (*Ephedra sinica*) რიტუალურ მნიშვნელობას ატარებდა.

ამ ფაზაში მცენარეული ცოდნა ძირითადად ზეპირი ტრადიციით გადადიოდა თაობიდან თაობას, ეყრდნობოდა დაკვირვებასა და ცდა-შეცდომის მეთოდს.

II. კლასიკური რაციონალიზმი და ტრადიციული სისტემები

დაახლოებით ძვ. წ. 500 წლიდან, ეგვიპტეში, ინდოეთსა და საბერძნეთში ცივილიზაციების განვითარებასთან ერთად, მედიცინამ დაიწყო გამიჯვნა წმინდა მაგიური და სულიერი სამყაროსგან.

ბერძნული რაციონალიზმი: ჰიპოკრატე (ძვ. წ. 460-377 წწ.) ითვლება „მედიცინის მამად“, რადგან ის ავადმყოფობას ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევდა და რაციონალურ მკურნალობას ემხრობოდა.

გალენის ჰუმორების თეორია: გალენმა (Claudius Galenus, ახ. წ. 129-200 წწ.) მართლაც ჩამოაყალიბა და განავრცო „ოთხი ჰუმორის“ (სისხლი-*sanguis*, ქოლერა-*choler*, მელანქოლია-*melancholia*, ფლეგმა-*phlegma*) თეორია, რომელიც თავდაპირველად ჰიპოკრატეს სკოლიდან მოდიოდა. გალენმა ამ თეორიას მისცა სისტემატური ფორმა და იგი საუკუნეების განმავლობაში დასავლური მედიცინის ფუნდამენტად დარჩა.

დიოსკორიდეს „De Materia Medica“: ეს პირველი ევროპული ბალახეული (I საუკუნე), რომელიც 600-მდე მცენარეს აღწერდა, 1700 წლამდე მთავარ სამკურნალო მცენარეების წყაროდ გამოიყენებოდა.

ინდოეთსა და ჩინეთში ჩამოყალიბდა რთული სამედიცინო სისტემები:

აიურვედა (ინდოეთი): ეფუძნება ტრიდოშების (ვატა, პიტა, კაფა) ბალანსს, რომლებიც ხუთი ელემენტის (ეთერი, ჰაერი, ცეცხლი, წყალი, მიწა) კომბინაციით იქმნება.

ტრადიციული ჩინური მედიცინა : ეფუძნება ინი და იანის და ხუთი ელემენტის (ვუ სინგი) თეორიებს. ავადმყოფობა განიხილება როგორც დისჰარმონიის ნიმუში. ასევე კოდირებული იყო მცენარეების გემო და „ტემპერატურა“ (მაგ., მწარე და ცივი მცენარეები „სიცხის“ საწინააღმდეგოდ), რაც პირდაპირ უკავშირდებოდა მათ თერაპიულ გამოყენებას.

III. იზოლაციის ეპოქა: ბიომედიცინის აღზევება

მე-18 საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნის დასაწყისში დაიწყო სამეცნიერო რევოლუცია, რომელმაც ყურადღება მცენარის მთლიანი სახეობიდან მის იზოლირებულ აქტიურ კომპონენტებზე გადაიტანა.

ქიმიკოსებმა მცენარეებიდან ძლიერი ნივთიერებების გამოყოფა დაიწყეს, რამაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ფარმაცოლოგიას. მაგალითად: მორფინი (1803) ოპიუმის ყაყაჩოდან (*Papaver somniferum*). სალიცილის მჟავა (1838) თეთრი ტირიფის ქერქიდან (*Salix alba*), რომელიც ასპირინის წინამორბედი გახდა. დიგოქსინი ჩვეულებრივი (*Digitalis purpurea*) გულის უკმარისობის სამკურნალოდ.

მეცნიერული რაციონალიზმის (რენე დეკარტი) გაბატონებამ უარყო „სიცოცხლის ძალა“ (*vital force*) და სხვა მისტიკური კონცეფციები, რომლებიც ჰერბალიზმს უკავშირდებოდა.

მე-19 საუკუნეში ექიმებმა გადაჭარბებულად დაიწყეს ტოქსიკური მინერალების (მაგ., ვერცხლისწყალი) და ძლიერი ქიმიური საშუალებების გამოყენება, რამაც ხშირად უფრო მეტი ზიანი მოიტანა, ვიდრე სარგებელი.

ევროპისა და აშშ-ის ზოგიერთ შტატში ჰერბალიზმის პრაქტიკა აიკრძალა ან არატრადიციულად გამოცხადდა.

მე-20 საუკუნის შუა ხანებისთვის, ანტიბიოტიკების აღმოჩენის შემდეგ, ჰერბალიზმი დასავლურ საზოგადოებაში მოძველებულ და არაეფექტურ მკურნალობად იქნა მიჩნეული.

IV. ინტეგრაცია და სინერგია: თანამედროვე ფიტოთერაპია

1960-იანი წლებიდან დაიწყო ჰერბალიზმის გლობალური აღორძინება, რომელიც განპირობებული იყო ორი ფაქტორით: კონვენციური მედიცინის კრიტიკით და ტრადიციული მედიცინის მეცნიერული დადასტურებით.

ქრონიკული დაავადებების (ბრონქიალური ასთმა, ართრიტი) მკურნალობის სირთულემ და ფარმაცევტული წამლების გვერდითმა ეფექტებმა (მაგ., თალიდომიდის ტრაგედია) საზოგადოება ბუნებრივი მკურნალობის ძიებისკენ უბიძგა.

მეცნიერულმა კვლევებმა დაიწყო ტრადიციული ცოდნის ვალიდურობის დადასტურება:

არტემიზინინი (Sweet Annie): ჩინურმა კვლევამ დაადასტურა ამ მცენარის ძლიერი ანტიმალარიული მოქმედება, რამაც ის მალარიის სტანდარტულ მკურნალობად აქცია.

კრაზანა (St. John's Wort): მრავალმა კლინიკურმა კვლევამ აჩვენა, რომ მცენარის ექსტრაქტი ეფექტურია მსუბუქი და საშუალო სიმძიმის დეპრესიის დროს, თანაც ნაკლები გვერდითი ეფექტით.

„სინერგიის“ ცნება: თანამედროვე კვლევებმა დაადასტურა, რომ „მთლიანი“ მცენარე უფრო ეფექტურია, ვიდრე მისი იზოლირებული ქიმიკატები. მცენარეული კომპონენტები კომპლექსურად ურთიერთქმედებენ, რასაც სინერგია ეწოდება. ეს ფენომენი ხსნის, თუ რატომ არის ჰერბალიზმი ხშირად ეფექტური, მიუხედავად იმისა, რომ მისი მექანიზმი იზოლირებული ქიმიკატებით ბოლომდე არ იხსნება.

ტრადიციული ჩინური მედიცინისა და აიურვედას უნივერსიტეტებში სწავლების მოდელი, ისევე როგორც გერმანიაში ფიტოთერაპიის სამედიცინო განათლებაში ჩართვა, მიუთითებს იმაზე, რომ ჰერბალიზმი და კონვენციური მედიცინა სულ უფრო მეტად გადაინაცვლებენ ინტეგრაციული დახმარების მოდელისკენ.

თემის აქტუალობა

ჰერბალიზმის განვითარების ისტორიის კვლევა, რომელიც იწყება შამანისტური პრაქტიკებით და მთავრდება თანამედროვე სამეცნიერო ფიტოთერაპიით, დღეს განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, როგორც გლობალური ჯანდაცვის, ისე მეცნიერული ცოდნის ევოლუციის კონტექსტში. ისტორიული ანალიზი გვთავაზობს უწყვეტ კავშირს უძველეს სამკურნალო მეთოდებსა და თანამედროვე

მედიცინის ფუნდამენტურ პრინციპებს შორის, ადასტურებს მცენარეების გადამწყვეტ როლს კაცობრიობის ისტორიაში.

ჰერბალიზმი, რომელიც განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობისთვის მედიცინის ძირითად ფორმად რჩება, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში უპრეცედენტო ცვლილებებს განიცდის და სწრაფად იბრუნებს პოპულარობას განვითარებულ სამყაროში. ეს აღორძინება განპირობებულია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფაქტორით, რომელთა გააზრება კვლევის თემას მწვავე მოთხოვნილებად აქცევს.

გლობალური ჯანდაცვის კრიზისი და ალტერნატიული მედიცინის მოთხოვნა ერთ-ერთი მთავარი აქტუალური მიზეზი არის ქრონიკული დაავადებების ზრდა და კონვენციური მედიცინის გვერდითი ეფექტების მიმართ შეშფოთება. განვითარებულ ქვეყნებში ადამიანთა 10-20% ჰოსპიტალიზებულია კონვენციური სამედიცინო მკურნალობის გვერდითი ეფექტების გამო. ამან გამოიწვია ის, რომ პაციენტები აქტიურად ეძებენ უფრო „მსუბუქ“, ჰოლისტურ სამკურნალო ფორმებს, რომლებიც სხეულის თავდაცვით მექანიზმებთან ჰარმონიაში იმუშავებს.

ჰერბალიზმი ამ მოთხოვნას სრულად პასუხობს, რადგან ის ტრადიციულად განიხილება, როგორც სამეცნიერო და ჰოლისტური მიდგომების ერთობლიობა. ჰერბალისტი, როგორც წესი, ცდილობს არა მხოლოდ სიმპტომის, არამედ ავადმყოფობის ძირითადი მიზეზის მკურნალობას, აფასებს რა პაციენტის მდგომარეობას ფიზიკური, მენტალური, ემოციური და, ზოგჯერ, სულიერი ფაქტორების კრილში. ჰერბალიზმის ისტორიის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ეს ჰოლისტური პრინციპი (მაგ. ჰიპოკრატეს „vis medicatrix naturae“) თან სდევდა სამკურნალო პრაქტიკას უძველესი დროიდან.

ჰერბალიზმის განვითარების ისტორიის შესწავლის კიდევ ერთი კრიტიკული აქტუალური ასპექტი არის მცენარეების, როგორც ფარმაცევტული ნედლეულის, უწყვეტი მნიშვნელობა. მართალია, ბიომედიცინამ შეძლო მრავალი აქტიური ნივთიერების (მაგ. დიგოქსინი Foxglove-დან, კონტრაცეპტული აბი Wild Yam-დან) იზოლირება და სინთეზი, თანამედროვე მედიცინა დღესაც 25%-ით მაინც არის დამოკიდებული მცენარეულ წყაროებზე.

თუმცა, მეცნიერული კვლევები სულ უფრო მეტად უჭერს მხარს „სინერგიის“ ტრადიციულ კონცეფციას. ეს ნიშნავს, რომ მთლიანი მცენარის ექსტრაქტი, რომელიც ასობით ან ათასობით სხვადასხვა ქიმიურ კომპონენტს შეიცავს, ხშირად უფრო ეფექტური და ნაკლებად ტოქსიკურია, ვიდრე მისი რომელიმე იზოლირებული, მონოაქტიური კომპონენტი. მაგალითად, კრაზანა (St. John's Wort) აჩვენებს ეფექტურობას დეპრესიის მკურნალობაში, რაც მისი კომპლექსური ქიმიური პროფილის დამსახურებაა. ჰერბალიზმის ისტორია გვაძლევს გასაღებს ამ სინერგიული მოქმედების გასაგებად, რადგან ტრადიციული გამოყენება (რომელიც „მეცნიერულ დაკვირვებას“ უსწრებდა) არის მთავარი მინიშნება მცენარის თერაპიულ პოტენციალზე.

თემის აქტუალობა ასევე განისაზღვრება ეკოლოგიური და სამართლებრივი გამოწვევებით. სამკურნალო მცენარეებზე მზარდი მოთხოვნა ემუქრება ზოგიერთი ველური სახეობის გადარჩენას (მაგ. ოქროსბეჭედას (Goldenseal) გადაშენების საფრთხე). ისტორიული გამოცდილება (მაგ. სილფიონის გადაშენება ძველ რომში) გვასწავლის, რომ ჰერბალიზმის მომავალი მოითხოვს მცენარეების მაქსიმალურად შენარჩუნებასა და მოყვანას.

გარდა ამისა, ჰერბალიზმის ინდუსტრიული ინტერესი ზრდის მოთხოვნას ხარისხის კონტროლზე და რეგულაციებზე. ისტორიული ანალიზი (მაგ. მე-19 საუკუნის ამერიკული ეკლექტიკური მოძრაობა, ან თანამედროვე გერმანული ფიტოთერაპიის სტანდარტები) გვიჩვენებს, თუ როგორ იბრძოდნენ ჰერბალისტები პრაქტიკის ლეგიტიმაციისთვის და როგორ მიიღწევა უსაფრთხოების მაღალი სტანდარტები სამეცნიერო „თითის ანაბეჭდის“ ტექნოლოგიების მეშვეობით.

ჰერბალიზმის ისტორიის შესწავლა შამანიზმიდან მეცნიერებამდე არის კულტურული, ეკოლოგიური და სამედიცინო კვლევის გადაკვეთა. ის გვაძლევს საშუალებას გავიგოთ, რომ „ჰერბალიზმი არ არის უბრალოდ კონვენციური მედიცინის ცუდი შემცვლელი, არამედ სამკურნალო ფორმა თავისი ღირებულებებით“. ტრადიციული ცოდნის (რომელიც ექსპერიმენტული დაკვირვებით დაგროვდა ათასობით წლის განმავლობაში) მეცნიერულ მტკიცებულებებთან შერწყმა აუცილებელი პირობაა ჰერბალიზმის, როგორც ინტეგრაციული დახმარების სფეროს, სრულად განვითარებისთვის.

თემის არჩევა ხაზს უსვამს აუცილებლობას, რომ თანამედროვე მედიცინამ, რომელიც ოდესღაც რაციონალიზმის სახელით განუდგა მცენარეულ პრაქტიკებს, კიდევ უფრო მეტად გახდეს აქტუალური და შეისწავლოს ტრადიციული სიბრძნის დანახვა და მეცნიერული დადასტურება, რითაც გზა გაეხსნება უსაფრთხო, ეკონომიური და ეკოლოგიურად დაბალანსებული სამკურნალო საშუალებების ფართო მოხმარებას.

დასკვნა:

ჰერბალიზმის განვითარების ისტორიული გზა, რომელიც შამანიზტური მისტიციზმით დაიწყო და მეცნიერული ფიტოთერაპიით გაგრძელდა, ადასტურებს მცენარეული მედიცინის არა მხოლოდ უწყვეტ კულტურულ, არამედ ღრმა ემპირიულ ღირებულებას. ევოლუციური ანალიზი ცხადყოფს ფუნდამენტურ გადასვლას ავადმყოფობის სულიერი მიზეზების ძიებიდან ჰოლისტური დისბალანსის (ჰუმორები, დოშები, ინ და იანი) დიაგნოსტიკაზე, საბოლოოდ კი იზოლირებული ქიმიური ნაერთების კვლევაზე.

ჰერბალიზმის, როგორც სინერგიული მეცნიერების, აქტუალობა სწორედ მე-19 და მე-20 საუკუნეების ფარმაცევტული რევოლუციის კრიტიკული შეფასებიდან იწყება.

მიუხედავად იმისა, რომ ბიომედიცინამ შეძლო მცენარეული კომპონენტების (მაგ., მორფინის, დიგოქსინის) იზოლირება და ძლიერი მონოპრეპარატების შექმნა, თანამედროვე კვლევები ადასტურებს ტრადიციული პრაქტიკის მთავარ დებულებას:

1. მცენარეული საშუალებები იშვიათად მოქმედებს ერთი „ჯადოსნური ტყვიის“ პრინციპით. მცენარე შეიცავს ასობით, თუ არა ათასობით, სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებას.
2. ეს ნივთიერებები ურთიერთქმედებენ რთული გზებით, რასაც სინერგია ეწოდება, და ხშირად ქმნის უფრო დიდ თერაპიულ ეფექტს, ვიდრე ექვივალენტური დოზით იზოლირებული აქტიური კომპონენტი. მაგალითად, გინკო (*Ginkgo biloba*) ან კრაზანა (*Hypericum perforatum*) აჩვენებს გაცილებით ძლიერ ეფექტს, როდესაც მთლიანი ექსტრაქტი გამოიყენება.
3. კომპონენტების ეს ბუნებრივი კომბინაცია ხშირად უზრუნველყოფს იმას, რომ მცენარეული საშუალებები იყოს უფრო ნაზი და ნაკლებად ტოქსიკური, ვიდრე სინთეზური ან იზოლირებული ქიმიკატები.

ამრიგად, თანამედროვე ჰერბალიზმი, ანუ ფიტოთერაპია, არის ინტეგრაციული მეცნიერება, რომელიც ემყარება არა მხოლოდ ეთნო-ბოტანიკურ ტრადიციას, არამედ კლინიკურ მტკიცებულებებს, ლაბორატორიულ კვლევებს და ფარმაკოლოგიურ გაგებას იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს მცენარე მთლიანობაში.

მომავლის პერსპექტივები

ჰერბალიზმის მომავალი სამი ძირითადი მიმართულებით ვითარდება:

1. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) ინიციატივებითა და განვითარებული ქვეყნების უნივერსიტეტებში საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამების შექმნით (მაგ., გერმანიაში სამედიცინო სტუდენტები სწავლობენ ფიტოთერაპიას), ჰერბალიზმი თანდათანობით იძენს ლეგიტიმურ სტატუსს. მომავალში მოსალოდნელია, რომ პაციენტებს შეეძლებათ არჩევიან გააკეთონ ტრადიციულ და კონვენციურ მდიდგომებს შორის, ან მიიღონ ორივეს ინტეგრირებული მკურნალობა.
2. სამკურნალო მცენარეებზე მზარდი მოთხოვნა ქმნის რისკებს ველური სახეობების გადარჩენისთვის (მაგ., *Goldenseal*-ის გადაშენების საფრთხე). მომავალი მოითხოვს, რომ მწარმოებლებმა და მომხმარებლებმა გამოიყენონ მხოლოდ კულტივირებული ან ეკოლოგიურად მგრძნობიარედ მოპოვებული პროდუქცია. ხარისხის კონტროლის მკაცრი სტანდარტები, რომლებიც ეყრდნობა მცენარის „ქიმიურ თითის ანაბეჭდს“, უზრუნველყოფს პროდუქტის

იდენტურობასა და ეფექტურობას, რაც კრიტიკულია ჰერბალიზმის რეპუტაციისთვის.

3. გლობალური მასშტაბით მიმდინარე კვლევები მიზნად ისახავს ტრადიციული გამოყენების მექანიზმების (მაგ., ინდური მოცხარი) ახალი თერაპიული პოტენციალის აღმოჩენას. ტრადიციული ცოდნა, რომელიც დაგროვდა ათასობით წლის განმავლობაში, რჩება მთავარ მეგზურად მომავალი ფარმაცოლოგიური აღმოჩენებისთვის.

საბოლოოდ, ჰერბალიზმის ისტორია გვახსენებს, რომ მცენარეული სამყარო არის უზარმაზარი, ეკონომიური და უსაფრთხო წამლების წყარო. ამ სიმდიდრის სრულად გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც პატივს ვცემთ ტრადიციულ სიბრძნეს და მას მეცნიერულ მტკიცებულებებს ვაჯერებთ, რითაც ჰერბალიზმი ინტეგრირებულ, სინერგიულ და მდგრად სამედიცინო სფეროდ ყალიბდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bruton-Seal, J., & Seal, M. (2014). The herbalist's bible: John Parkinson's lost classic rediscovered. Merlin Unwin Books.
2. Culpeper, N. (1653). The English physitian enlarged. George Sawbridge.
3. Gerard, J. (1597). The herball or general history of plants. John North.
4. Griggs, B. (1997). New green pharmacy. Vermilion.
5. Gunther, R. (1934). The Greek herbal of Dioscorides. Oxford University Press.
6. Hoizey, D., & Hoizey, M. J. (1993). A history of Chinese herbal medicine. Edinburgh University Press.
7. K'Eogh, J. (1986). An Irish herbal (M. Scott, Ed.). Aquarian Press.
8. Larre, C. (1994). The way of heaven (Neijing suwen). Monkey Press.
9. Lloyd, G. (Ed.). (1978). Hippocratic writings. Penguin.
10. Manniche, L. (1989). An ancient Egyptian herbal. British Museum Publications.
11. Pliny the Elder. (1991). Natural history: A selection (J. Healey, Ed.). Penguin.
12. Porter, R. (1997). The greatest benefit to mankind. Harper Collins.
13. Swinburne Clymer, R. (1973). Nature's healing agents. The Humanitarian Society.
14. Toby, G., Denham, A., & Whitelegg, M. (2010). The Western herbal tradition: 2000 years of medicinal plant knowledge. Churchill Livingstone.
15. Unschuld, P. (1985). Medicine in China. University of California Press.
16. Vogel, V. (1970). American Indian medicine. University of Oklahoma Press.
17. Latchkepiani, E., Kochadze, D., Gambarashvili, M., & Makharashvili, R. (2025). Mechanical Asphyxia in Forensic Medicine: Pathophysiology, Diagnosis, and

Modern Trends. Georgian Scientists, 7(3), 66-84.

<https://doi.org/10.52340/g.s.2025.07.03.08>

18. Kochadze, D., Latchkepani, E., Makharashvili, R., Dolidze, N., & Asanidze, N. (2025). Medicinal Geophytes as Natural Antimicrobial Agents - An Ethnobotanical Review on the Example of Georgia. Georgian Scientists, 7(3), 454-467.
<https://doi.org/10.52340/g.s.2025.07.03.27>
19. Latchkepani, E., Gambarashvili, M., & Kochadze, D. (2024). Heart rupture - a complication of adrenal cortical adenoma - case report. Georgian Scientists, 6(2), 405-416. <https://doi.org/10.52340/g.s.2024.06.02.42>
20. Kochadze, D., Latchkepani, E., & Makharashvili, R. (2025). "Traditional Georgian Ethnopharmacology: Historical Foundations, Medicinal Plant Cultivation Practices, and Knowledge Transmission Pathways". Georgian Scientists, 7(2), 730-744. <https://doi.org/10.52340/g.s.2025.07.02.69>
21. Bitadze, L., & Elguja, L. (2022). Frequency and Types of Traumas in Khevsureti according to the Fossil Material of the High and Late Middle Ages.
<https://openscience.ge/entities/publication/edeae3c1-8669-4f8c-bfd6-4bd01c064215> [10.48616/openscience-60](https://doi.org/10.48616/openscience-60)

The History of the Development of Herbalism: From Shamanism to Scientific Medicine

Dimitri Kochadze¹, Elguja Lachqepiani², Robert Makharashvili³, Nana Mgaloblishvili⁴,
Dimitri Kuchukhidze⁵, Bagdu Chkhaidze⁶, Nikoloz Shaverdashvili⁷, Nino Asanidze⁸

¹LLC "Regional Healthcare Center," Clinical Manager of Kharagauli Medical Facility; Infectious Disease Specialist; PhD student at Tbilisi State Medical University. <https://orcid.org/0009-0009-9976-4724>; ² LEPL Levan Samkharauli National Forensics Bureau, Department of Medical Expertise; Forensic Medical Expert; PhD student at Tbilisi State University. <https://doi.org/10.52340/gs.2024.06.02.42>; ³Pediatric Clinic Mmedi22, Department of Anesthesia and Intensive Care; Anesthesiologist Critical Care Physician; ⁴Certified Medical Doctor; Master of Business Administration in Healthcare Management; Deputy Director and Clinical Director of LLC „Regional Healthcare Center“; ⁵Pediatric Clinic Mmedi22, Head of the Department of Anesthesia and Intensive Care; Anesthesiologist and Critical Care Physician; ⁶Deputy Director of LLC „Regional Healthcare Center“; PhD student at Ivane Javakishvili Tbilisi State University; ⁷Head of Logistics Department, LLC „Regional Healthcare Center“; PhD student at the Georgian Technical University; ⁸Master of Clinical Pharmacy, Pharmacology Expert, Pharmaceutical and Medical Activities Regulation Division, Department of Drug Registration, Clinical Trials, and Licensing of Pharmaceutical Institutions, LEPL Regulation Agency for Medical and Pharmaceutical Activities, Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia.

Abstract:

This scientific article provides a comprehensive historical and evolutionary analysis of herbalism, the use of medicinal plants for health maintenance and healing which is an integral part of human history. The study utilizes a thematic historical analysis and a qualitative descriptive methodology. The primary objective is to delineate the chronological and thematic arc of herbalism's evolution, tracing its path from irrational, shamanistic practices to contemporary, scientific evidence-based phytotherapeutic approaches. Approximately 75% of modern medications are based on herbal raw materials.

The analysis is structurally organized into four principal evolutionary phases:

Mystical Roots (Shamanism): This phase is characterized by the conflation of healing with magic and religious beliefs. Illness was often viewed as possession by spirits or evil forces. Shamans utilized hallucinogenic plants, such as Ayahuasca (*Banisteriopsis caapi*), to enter the "spirit world" for healing. Early archaeological evidence, such as the discovery of eight different medicinal plants, including Ephedra (*Ephedra sinica*), in a 60,000-year-old burial in Iraq, supports the supernatural and medicinal significance attributed to these plants.

Classical Rationalism and Traditional Systems: Beginning around 3000 BCE, civilizations in Egypt, India, and China produced the first written records of herbalism. In Europe, the process of separating medicine from purely spiritual roots was advanced by Hippocrates (the "Father of Medicine") and Galen, who systematized the "Four Humors" theory. Dioscorides' "*De Materia Medica*" (c. 40-90 CE) served as the primary European herbal text

until the 17th century. Concurrently, complex traditional systems like Ayurveda (based on Tridoshas) and Traditional Chinese Medicine (based on Yin and Yang and the Five Elements) were codified in Asia.

The Age of Isolation (The Rise of Biomedicine): The scientific revolution of the 19th century shifted focus from the whole plant to its isolated active components. Key discoveries included the isolation of Morphine from the opium poppy (*Papaver somniferum*) in 1803 and Salicylic Acid (the precursor to Aspirin) from white willow bark (*Salix alba*) in 1838. This reductionist approach created a division between traditional, holistic herbalism and modern chemical medicine, leading to the marginalization of herbal practices in the West.

Integration and Synergy (Modern Phytotherapy): Starting in the mid-20th century, a global resurgence occurred due to concerns over the side effects of conventional medicine. Contemporary scientific research increasingly validates traditional knowledge, such as the efficacy of Artemisinin (Sweet Annie) against malaria and St. John's Wort (*Hypericum perforatum*) for treating mild depression. Crucially, this research confirms the traditional concept of Synergy that the whole plant extract, containing a complex profile of compounds, is often more effective and less toxic than an equivalent dose of an isolated active component.

The paper concludes that the future of herbalism lies in an integrative and sustainable model, wherein traditional wisdom, accumulated through millennia of observation, is validated and refined by rigorous scientific evidence and adherence to strict quality control standards (e.g., "chemical fingerprinting").

Key words: Herbalism, Shamanism, Phytotherapy, Synergistic Effect, Traditional Medicine, Biomedicine.